


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბძგანდ ბეჭდუნი სიფყვას, ცყუილებით და ჭანბით ბუბთის გატანა ყველა უჯანდისბაგე უსამაგლუსია.

ხუთშაბათი, 19 აპრილი. 2018 წ. №80 (8481), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქვეყნიუდენტის განსხადება ურა კვიცეზის ფონზე და უანყალეობით დაზარალეზული მოქმედი პრეზიდენტი 5

შავი პიარის ტაღის ამზრზენი დასანყისი და საცოდავი დასასრული... და სასოდავი დასასრული...

კიდეე ერთხელ ნათლად დაინახა საზოგადოებამ შავი პიარის ტაღის ამზრზენი დასანყისი და საცოდავი დასასრული, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, შეწყალეზის საკითხის მიმართულებით კონსულტაციები უკვე დაწყებულია.

„ამ რამდენიმე დღის განმავლობაში საზოგადოებამ იხილა და ნათლად დაინახა კიდეე ერთი უბინძურესი შავი პიარის ტაღი, რომელიც ამზრზენად დაიწყო და საცოდავად დამთავრდა. ამ მიმართულებით რა უნდა დაიხვეწოს, ჩვენ დავიწყეთ კონსულტაციები და დავხვეწავთ კიდეე. კიდეე ერთხელ ნათლად დაინახა საზოგადოებამ შავი პიარის ტაღის ამზრზენი დასანყისი და საცოდავი დასასრული. ალბათ, ამგვარი რამ კიდეე იქნება. სამწუხაროდ, ამ რეალობაში ვცხოვრობთ“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ყველანი სინეში! 3

საფრანგეთსა და საბერძნეთში ქართული კრიმინალური დაჯგუფების 38 წევრია დააკავებული!...

სუს-ის ხელმძვანელი ანბარის აბარებს კარლაშენტსა და ხალხს 2

საზღვარგარეთ ლეგალურად სულ უფრო მეტი ქართველი იმუშავებს... 9

ბიბილოვმა „ალანის მკარქიისთვის“ ზურგისმცავითა და რუსულ ეკლესიაში ღოცვით ოსები გაანანყენა 8

ოჯახურ კალაღობაში მსჯავრდებულ პირებზე სინის შიღბანანეში მკასრღება

სასჯელაღსრულები და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი ოჯახური ძალადობის პრევენციისთვის პარლამენტს ახალი ინიციატივით მიმართავს. როგორც კახიშვილმა განმარტა, ინიციატივა ციხიდან ოჯახური ძალადობისთვის მსჯავრდებულების მიერ ოჯახის წევრებთან განხორციელებული სატელეფონო ზარების მონიტორინგს ეხება.

„არამხოლოდ შემაკავებელი ორდერებია დასახვენი, არამედ სატელეფონო ზარების საკითხიც. სშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენთან წერენ განცხადებას ქალბატონები, ყოფილი და მოქმედი მეუღლეების თაობაზე, რომ რამენაირად გაკონტროლდეს ამ ადამიანების მხრიდან არასასურველი სატელეფონო ზარები. ამის დარგულირების სამართლებრივი ბერკეტი ამ ეტაპზე არ არსებობს“, — განაცხადა კახა კახიშვილმა, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ, თუ ამ კუთხით სამართლებრივი მექანიზმები ამუშავდება, შესაძლებელი გახდება, არასასურველი სატელეფონო ზარების შეზღუდვა.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენი საზოგადოება უნდა იყოს დაცული, განსაკუთრებით ქალბატონები. ჩვენ ვხედავთ, რამდენად მძიმე ვითარებაა ამ კუთხით. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ყველა უნყება კოორდინირებულად უნდა მუშაობდეს რისკების შეფასებაზე, პრევენციაზე და, რა თქმა უნდა, ეს მექანიზმები უნდა იყოს დახვეწილი, რაც ყოველმხრივ დაეხმარება და ხელს შეუწყობს ოჯახური ძალადობის პრევენციას“, — აღნიშნა კახიშვილმა.

შედეგების უამოქმედი 7 მელიტონ ბალანჩივაძე — ქართული კლასიკური რომანის მესაძირკვლე



ყველანი სინკში! - ფაქტობრივად ასეთი უნდა

საფრანგეთსა და საბერძნეთში 4 ქართველი ე.წ. „კანონიერი ქურდი“ და ქართული კრიმინალური დაჯგუფების 34 წევრია დაკავებული

წინააღმდეგარა დასამართლებელი უნდა იყოს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზაციულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველო უფროსმა მამუკა ჭაჭავაძემ გუშინ ბრიზინაში გამართა, სადაც უცხოეთის ქვეყნებში, საქართველოს მოქალაქეებისგან შემდგარი ორგანიზაციული დანაშაულებრივი ჯგუფების დაკავების შესახებ გააკეთა განცხადება.

პერაციის დროს, სხვადასხვა სიმძიმის ასობით ქურდობის ფაქტზე, ქართული კრიმინალური დაჯგუფების სხვა წევრებიც დააკავეს. საფრანგეთში სულ დაკავებულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების 15 წევრი, მათ შორის, საქართველოს 14 და სომხეთის 1 მოქალაქე; საბერძნეთში კი - საქართველოს 23 მოქალაქე, რომლებიც ქურდადგენენ ბინებსა და მალაზიებს, ასევე, ახდენდნენ მოპარული ნივთების შენახვა-რეალიზაციასა და ფულის გათეთრებას.

დადებული ვახტანგ ახვლედიანი, 1962 წელს დაბადებული ლორიტა პაჭკორია-ნოზაძე, 1969 წელს დაბადებული არსენ ხაჩატრიანი, 1985 წელს დაბადებული ზურაბ აჯამოვი, 1966 წელს დაბადებული კარენ არუთიუნიანი, 1981 წელს დაბადებული მიხეილ ოჩიგავა, 1992 წელს დაბადებული ალექსი სანაძე, 1970 წელს დაბადებული ელმირა მუსტაფაიევა.

ქალაქში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულ იქნა კრიმინალური დაჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთმტკიცებები. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-დაკავების მიზნით გრძელდება ოპერატიულ-საგამომძიებო მოქმედებები, რომელთა შესახებ ინფორმაციას მოგვიანებით მოგაწვდით.

„ეპროპოლთან“ დაწყებული ეფექტიანი თანამშრომლობის შედეგად, მიმდინარე წლის 16-17 აპრილს, საფრანგეთსა და საბერძნეთში წარმატებით ჩატარდა სპეცოპერაცია სახელად - „Caucase Normandie“. დაკავებულია ოთხი ქართველი ე.წ. „კანონიერი ქურდი“: საბერძნეთის ქალაქ სალონიკში - ე.წ. კანონიერი ქურდი, 1961 წელს დაბადებული ლაშა შუშანიშვილი, მეტსახელად „ლაშა რუსთავსკი“; საფრანგეთის ქალაქ მონტობანში - ე.წ. კანონიერი ქურდი, 1974 წელს დაბადებული ალექსანდრე კობალაძე, იგივე რამაზ ლულუნიშვილი, მეტსახელად „სიუ“; საბერძნეთის ქალაქ ათენში - ე.წ. „კანონიერი ქურდი“: 1989 წელს დაბადებული ნოდარ შუკაკიძე, მეტსახელად „ნოდო გლდანსკი“ და 1962 წელს დაბადებული მერაბ ასანიძე, მეტსახელად „ჩიკორა“.

საფრანგეთის ქალაქ კანში დაკავებული არიან ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრები, ე.წ. „მაყურებლები“: 1988 წელს დაბადებული ელგუჯა შუკაკიძე, 1982 წელს დაბადებული დავით სოდელი, 1979 წელს დაბადებული პაატა ახალაძე, რომელსაც ე.წ. „ქურდული ობშჩიაკი“ ებარა. ელგუჯა შუკაკიძესთან და პაატა ახალაძესთან ერთად დაკავებულები არიან მათი მეუღლეები - 1987 წელს დაბადებული ნანა მათიაშვილი და 1985 წელს დაბადებული ნინო იოსელიანი, რომლებიც დაჯგუფების კრიმინალურ საქმიანობაში იყვნენ ჩართულები.

გამომძიებელი საბერძნეთისა და საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით მიმდინარეობს. აღნიშნული ოპერაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული უნდადამერიის მთავარი დეპარტამენტის ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ასობით თანამშრომელმა ერთობლივად ჩაატარა.

საფრანგეთის ქალაქ რენში კი სამართალდამცველებმა დააკავეს 1991 წელს დაბადებული ლევან გოჩიაშვილი, რომელსაც, ასევე, ებარა ე.წ. „ქურდული ობშჩიაკი“.

საბერძნეთის ტერიტორიაზე კი, დაკავებულია საქართველოს 23 მოქალაქე. ერთი დაკავებული პირის ვინაობა ამ დროისათვის დგინდება. დაკავებულები არიან: 1989 წელს დაბადებული რუბენ მხითარაიანი, 1984 წელს დაბადებული გიორგი ნიკოლაური, 1967 წელს დაბადებული გურგენ იეგიზარიანი, 1976 წელს დაბადებული დავით ნათობიძე, 1991 წელს დაბადებული გიორგი ჟღანტიაშვილი, 1984 წელს დაბადებული ლადო დოლიძე, 1981 წელს დაბადებული თორნიკე პაპავა, 1988 წელს დაბადებული გიორგი კერესელიძე, 1974 წელს დაბადებული ზაზა გელაშვილი, 1985 წელს დაბადებული ბიძინა ფარეშიშვილი, 1988 წელს დაბადებული ლევან წულაია, 1982 წელს დაბადებული ვახტანგ ანდრიაძე, 1989 წელს დაბადებული მიხეილ ბეჟუაშვილი, 1989 წელს დაბადებული გიორგი ფოლადიშვილი, 1984 წელს დაბადებული გიორგი დამოცვეი, 1980 წელს დაბადებული ირაკლი გაბელაია, 1988 წელს დაბადებული ოთარ ბეჟუაშვილი, 1969 წელს დაბადებული თეიმურაზ სეთური, 1976 წელს დაბადებული გივი იმნაიშვილი და 1971 წელს დაბადებული ვეფხვია პირმისაშვილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, ევროპის ქვეყნებში წარგზავნილი პოლიციის ატაშეების მეშვეობით, კვლავ აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან, ინტერპოლთან და ევროპოლთან. ქართველ სამართალდამცველებს მუდმივი კავშირი აქვთ ევროპულ კოლექტივთან ოპერაციების მომზადების, განხორციელებისა და ოპერატიული ინფორმაციების მიწოდების მიმართულებით, - განაცხადა ჭელიძემ.

ქართველი, ფრანგი და ბერძენი სამართალდამცველის ორწლიანი, აქტიური საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად, ქართველი კანონიერი ქურდების გარდა, საფრანგეთსა და საბერძნეთში ერთდროულად ჩატარებული სპეცოპერაციის სიძველეა და ასევე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით დაუსვეს შეკითხვა ფინანსთა მინისტრს, რაზეც მან განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი ჭორებსა და სიცრუეს ავრცელებს და რეალურად ბიძინა ივანიშვილის არცერთ შვილს არ იცნობს.

ინფორმაციული

ქონსულტაციები ივანიშვილთან?

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობაში არსებულ დაპირისპირებაზე „დიდი პარტიული შეხვედრა“ აღარ გაიმართება. ჩვენი ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობის რამდენიმე წარმომადგენელი ბიძინა ივანიშვილს ინდივიდუალურად შეხვდა. წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილთან ცალკე აუდიენცია ჰქონდა ეკა ბესელიას. მას ასევე შეხვედრა ჰქონდა პარლამენტის სამ წევრთან. ე.წ. ძველებთან - გედევან ფოფხაძესთან, ზაზა პაპუაშვილთან და დავით ჭიჭინაძესთან. შეხვედრის დეტალები უცნობია. ასევე უცნობია, შეხვედრა თუ არა ე.წ. ახლების შეხვედრა ივანიშვილთან.



ბიძინა ივანიშვილის „სასიძო“ სასოლავსა და მის და-ძმებს საერთოდ არ იცნობს

წინააღმდეგარა დასამართლებელი უნდა იყოს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზაციულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველო უფროსმა მამუკა ჭაჭავაძემ გუშინ ბრიზინაში გამართა, სადაც უცხოეთის ქვეყნებში, საქართველოს მოქალაქეებისგან შემდგარი ორგანიზაციული დანაშაულებრივი ჯგუფების დაკავების შესახებ გააკეთა განცხადება.

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მამუკა ჭაჭავაძე ბიძინა ივანიშვილის

მომავალი სიძეა და ასევე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით დაუსვეს შეკითხვა ფინანსთა მინისტრს, რაზეც მან განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი ჭორებსა და სიცრუეს ავრცელებს და რეალურად ბიძინა ივანიშვილის არცერთ შვილს არ იცნობს.

თავდასვის მინისტრი კახეთის რეგიონში

აჭარის რეგიონის შემდეგ თავდაცვის მინისტრი კახეთის რეგიონში არსებულ სამხედრო ქვედანაყოფებში იმყოფებოდა. ლევან იზორია მონიტორინგის მიზნით საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დაქვემდებარებული ქვედანაყოფების მონახულებას და მასზე დისლოცირებულ პირად შემადგენლობასთან შეხვედრებს განაგრძობს.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რეზერვის ახალ სისტემას სხვადასხვა ბაზაზე ინფრასტრუქტურა მომზადებული დასვდება. ლევან იზორიამ ეროვნული გვარდიის საველე ბანაკი პალდოში, სპეციალური ოპერაცი-



ების ძალების ბაზა მუხროვანში და საწვრთნელი ცენტრი „ნორიო“ მოინახულა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი წლის განმავლობაში ყველა სამხედრო დანაყოფს მოინახულებს და ადგილზე არსებული ვითარების მონიტორინგს განახორციელებს.

მინ პრის ყველაზე გაღიანიზებული ჩინოვნიკების ოჯახი საქართველოში?

საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამდებობის პირი „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე სულხან ზუმბურიძეა, - განცხადება ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა. ირმა ნადირაშვილის განცხადებით, ზუმბურიძის ხელფასი 2013-2017 წლამდე 123 ათასი ლარით გაიზარდა და 2017-ის წლიურმა ანაზღაურებამ 341 ათას 700 ლარი შეადგინა, რაც ყოველთვიურად 28 500 ლარია. ნადირაშვილის ინფორმაციით, ასევე მაღალია ზუმბურიძის მეუღლის შემოსავალი, რომლის ანაზღაურებაც, ნადირაშვილის ინფორმაციით, წლიდან წლამდე იზრდებოდა და 2017 წელს 92 ათას 848 ლარი შეადგინა, ანუ ყოველთვიურად ზუმბურიძის მეუღლის ქეთევან რეხვიაშვილის ხელფასი 7 ათას 700 ლარია. - ასე რომ, ყოველთვე სახელმწიფო ამ ოჯახში აგზავნის 36 000 ლარს, - განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.



სუბსიდიის პოზიცია: მხარეებს დიდი პრეზენტი აღარ აქვთ...

მსოფლიო ლიდერები ცდილობენ, ფეთქებადსაშიში სიტუაცია მოლაპარაკებებით განიშტროს — გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი რუსეთსა და აშშ-ს სირიის საკითხზე დიალოგიკურ მოუწოდებდა. მისი განცხადებით „დიდი ქვეყნები დიდ პასუხისმგებლობას ატარებენ და პირველი ნაბიჯი უნდა გადაიდგას. გერმანიის პრეზიდენტი თვლის, რომ თუ სირიის საკითხში ვაშინგტონი და მოსკოვი ერთმანეთისკენ გზას ვერ გამოძებნიან, მაშინ სირიაში სიტუაციის გაუმჯობესების შანსები ნულის ტოლფასი იქნება. მან ასევე აღნიშნა, რომ სირიაში პირველად შვიდი წლის განმავლობაში აშშ-ისა და რუსეთის პირდაპირი კონფრონტაციის საფრთხე გაჩნდა. „მიუხედავად პუტინისა, ჩვენ არ უნდა გამოვაცხადოთ მთლიანად რუსეთი და რუსი ხალხი მტრებად. ჩვენ არ უნდა შევწყვიტოთ რუსეთთან დიალოგი და ამავდროულად პირადი კონტაქტებისას კრემლს უნდა გავაგებინოთ, თუ რა შედეგები მოჰყვება მის ქმედებებს რუსეთ-ევროპის ურთიერთობებისთვის“, — აღნიშნა შტაინმაიერი.

იქონიებს თუ არა გაგლენას მსოფლიოში მიმდინარე პროცესები კავკასიასა და საქართველოზე, ამ თემაზე ექსპერტი მუშა ბარნიკი გვესაუბრება.



სეთს სურს, იყოს მსოფლიო დონის მოთამაშე. ბოლო პერიოდში ისევე დაინწყეს ლაპარაკი ორპოლუსიან მსოფლიოზე, რომ გაცილებით მარტივად გვარდებოდა პრობლემები, თუმცა აქტიურად ლაპარაკობენ მრავალპოლუსიან წესრიგზეც და ერთ-ერთ პოლუსად რუსეთი საკუთარ თავს მოიხარებს — მისი ევრაზიული კავშირი სწორედ ამას გულისხმობს.

თუმცა, ის რა სიტუაციაა შეიქმნა, უფრო ცუდგინების პოზიციას მაგონებს, როდესაც მხარეებს დიდი არჩევანი აღარ აქვთ დარჩენილი, რა მიმართულებით იმოდროს. შესაძლოა, ასეთი პოზიცია გაგრძელდება გარკვეული პერიოდში, მაგრამ ძალიან დიდხანსაც ვერ შენარჩუნდება, რადგან დღეს სირიაში იმდენი ინტერესია, რომ მულტიპაციონალურ კონფლიქტში გადაზრდის საფრთხე არსებობს.

... თუმცა ისიც არ გვანწყობს, რომ როგორც ავღანეთიდან მაროკომდეა გაჩაღებული სისხლისღვრა, ჩვენც ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ, მაგრამ არც ამერიკისა და რუსეთის თვალეზი ერთმანეთის ყურებაზე უნდა ვიყოთ დამოკიდებული, როდის დაუშვებენ შეცდომას, სიტუაცია რომ გამოვიყენოთ...

— ის რაც დღეს ხდება, უკვე აღარ არის მსოფლიო წესრიგი, გაეროც ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას და მოქმედებს პროცედივი — ვინც ძლიერია, ის მართალია. სწორედ ძლიერებს შორის ხდება ურთიერთობის გარკვევა. ეს მხოლოდ დასავლეთის ბრალი არ არის და რაკი რუსეთთან საუბარი არც ისე ადვილია, ფეთქებადსაშიში სიტუაცია ყოველთვის არის რეგიონში.

არც მოველოდი, რომ აშშ სირიას, ანუ ამ შემთხვევაში რუსეთს დაბოძებდა, რადგან პასუხის პასუხი არის საშიში და არაპროგნოზირებად სიტუაციას ქმნის.

— ქართველი ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ საქართველოს ამ სიტუაციაში დიდი ყურადღება მართებს. ეს არის ის სიტუაცია, როდესაც საქართველოს საგარეო პოლიტიკა რაღაცას ცვლის ჩვენთვის?

— ბუნებრივია, საქართველო ფრთხილი უნდა იყოს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისას, მაგრამ რაკი ევროპისა და ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი და ჩრდილო ატლანტიკური კურსის მიმდევარია, მის პოზიციას სწორედ ეს სტრატეგია განსაზღვრავს და მანევრისთვის საქართველოს ხელისუფლებას დიდი სივრცე არა აქვს.

ეს ჩანდა პრემიერის წერილიდან, უენეცის ბოლო მოლაპარაკებიდან. გადაიდგა ისეთი ნაბიჯებიც, რომელმაც დასავლეთის მხარე შეიშინა და დაიშა.

— იმან, რაც ხდება მსოფლიოში, საგრძობლად დაზარალა რუსეთის ეკონომიკა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ქვეყანასთან ეკონომიკური კავშირები კვლავ

გაჩნდა, რამდენად საგრძობი იქნება ქართული ეკონომიკისთვის შექმნილი სიტუაცია?

— რუსეთი ცდილობს სანქციების შედეგებთან გამკლავებას, მაგრამ თუ არ მოწესრიგდება დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები, ადრე თუ გვიან, სანქციები თავის უარყოფით შედეგს თვალნათეს გახდის. ჩვენთვისაც შესამჩნევი გახდება, თუ გაივითვალისწინებთ, რა რაოდენობის ფულადი გზავნილები შემოდის რუსეთიდან.

რუსეთის ეკონომიკა ერთ დღეში არ ჩამოიშლება, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა, საკმაოდ უარყოფითი ეფექტი მოიტანოს, განსაკუთრებით უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით. სწორედ ამიტომ არის, რომ რუსეთი ბოლომდე მიდის სიტუაციის გამწვავებაზე.

იმან, რაც მოხდა სირიასთან მიმართებაში, შედეგად გამოიღო ის, რომ ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა იგეგმება. საერთოდ, რუსული პროპაგანდა მხარს უჭერს ბირთვული

„მუხტულების“ დემონსტრირებას — თვლიან, რომ ასე უფრო ადვილად წამოვინდა დასავლეთი დათმობაზე.

თუმცა, ამას სხვა მიზეზიც აქვს, დასავლეთს თუ შეუძლია, არ აჩქარდეს თავის გადანყვებით რუსეთს, რუსეთს ეს დრო არ აქვს, რადგან ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სწრაფ გადანყვებით ბეჭებს მოითხოვს.

— ტრამპისა და პუტინის შეხვედრაზე მთელი მსოფლიო აქტიურად საუბრობს, მაგრამ რამდენად არის შესაძლებელი, მოლაპარაკებებთა მაგიდასთან გადინაცვლოს პრობლემის მთელი სიმწვავე?

— სიტუაციის გამწვავება მოსალოდნელი იყო, მაგრამ ნებისმიერ გამწვავებას მოჰყვება დათმობის პერიოდი. თუმცა ის, რომ დასავლეთმა თანაბარუფლებიან პარტნიორად აღიაროს რუსეთი და მასთან მოლაპარაკებებთა მაგიდას მიუჯდეს, ახლო მომავალში ვერ წარმოვიდგინებ. შესაძლოა, იყოს ლაპარაკი გარკვეულ კომპრომისებზე ორივე მხრიდან, მაგრამ ეს იქნება უმნიშვნელო, რადგან რუს


შეხვედრა და დაახლოება გვაავადებულეს.

სემეკის ინფორმაციით, ბაზარზე გაჩნდებიან მიმწოდებლები, რომლებიც მომხმარებლებს შესთავაზებენ მომსახურებას, ბუნებრივი გაზის მიწოდებას.

„ამ შემთხვევაში თბილისში დღეს კომპანია „გაზტრანსგაზ თბილისი“, მიმწოდებლის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ, იქნება რამდენიმე მიმწოდებელი და მომხმარებელს შეეძლება, აირჩიოს საუკეთესო შეთავაზება. ეს ყველაფერი ბაზრის ლიბერალიზაციის ნაწილია და ახალი მოთამაშეების გაჩენას გულისხმობს. ახალი მიმწოდებლები იქნებიან მხოლოდ ერთადერთი ფუნქციით, რომ მომხმარებელს მომსახურება ხელსაყრელი პირობებით შესთავაზონ“ — აცხადებენ „სემეკი“.

მათი ინფორმაციით, ქსელის განაწილება ექსკლუზიური საქ

„ყაზბარანსგაზი“ მოსკოლისში ვეღარ იქნება!



ახლო მომავალში მოსახლეობას გაზის მიწოდების არჩევნის შესაძლებლობა იქნება

მიანობაა, რადგან პარარელურ რეჟიმში დაქსელვა ვეღარ მოხდება, ეს კონკრეტული საქმიანობა ერთი კონკრეტული კომპანიის საკუთრებაში იქნება. სემეკის განცხადებით, ამ კონკრეტულ კომპანიას ექნება ვალდებულება იმისა, რომ მესამე მხარის დაშვება განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ დღეს თბილისში ქსელის განაწილებაზე ექსკლუზიური უფლება „ყაზტრანსგაზ თბილისს“ აქვს. „სემეკის“ ინფორმაციით, ბუნებრივი გაზის რეფორმირება

უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, 2019 წლიდან იგეგმება.

საქართველო რომ ბუნებრივი გაზის რეფორმირებას იწყებს და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას ცდილობს, რეფორმის დეტალებზე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ განხორციელებული EU4Energy Governance Project (ევროკავშირი ენერგეტიკისთვის მმართველობა) პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრებს.

ენერგეტიკული გაერთიანების დირექტორმა იანეს კოპაჩმა განაცხადა, რომ ენერგეტიკული პაკეტი უზრუნველყოფს კონკრეტული ნორმების შემუშავებას სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაცავად, ასევე ბუნებრივი გაზის მიწოდების გასაუმჯობესებლად და იძლევა მიმწოდებლის გამოცვლის მარტივი წესის დანერგვის გზით, გაზის მიწოდებლის არჩევნის საშუალებას.

„გაზის მომხმარებლებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ ბუნებრივი გაზის ბაზრის რეფორმებით მათ სიცოცხლე დატოვებს, არამედ პირიქით. ეჭვგარეშეა, რომ წინ მრავალი გამოწვევა იქნება, მაგრამ დღესათვის საქართველოს ენერგოსექტორის მონაწილეთა მხრიდან გამოსატული ძალზე დადებითი თანამშრომლობის გათვალისწინებით, დარწმუნებული

ვარ, რომ ერთად ჩვენ შევძლებთ, შევიმუშავოთ სტაბილური, გამჭვირვალე სამართლებრივი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციებს და მთავარ ამოწავალ წერტილად დაისახავს ენერგომომხმარებლებს,“ — აცხადებენ იანეს კოპაჩი.

საქართველოში აიღო ვალდებულება ენერგეტიკული გაერთიანების პროტოკოლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემდგომში ორი წლის განმავლობაში, ბუნებრივი გაზის სექტორში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე.

ევროკავშირის „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ დანერგვა მოიხარებს ბუნებრივი გაზის სექტორის რესტრუქტურირებისას და კონკურენტუნარიანობის გახსნას, ასევე მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანი სარგებელის უზრუნველყოფას. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბაზრის ახალ მოდელზე უმტივიწყოლოდ გადასვლის პროცესი საქართველოს სექტორის მონაწილეთა ეფექტურ და აქტიურ ჩართულობას, პროცესში მალალი დონის პოლიტიკური დისკუსიების ორგანიზებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სოფო ძსოვრელი

კალათბურთი

შაბი სიასლუებისა

ოლიმპიურ სასახლეში კალათბურთის ფედერაციის საერთო ყრილობა გაიმართა, რომელსაც 34 დელეგატიდან 32 დაესწრო. მისი მონაწილე მთავარი მიზანი კალათბურთის ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება გახლდათ. ყრილობის დაწყებამდე ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა საპატიო სიტყვითა და ეროვნული ნაკრების მისურით დააჯილდოვა ღვანლმოსილი კალათბურთელი და მწვრთნელი როლანდ გარუჩავა, რომელიც დედაქალაქში სამეგრელოს რეგიონულ ფედერაციას წარმოადგენდა.

წესდების ახალი რედაქციის მიღებაზე დელეგატებმა დეტალურად განიხილეს მასში შესატანი ცვლილებები და ერთმანეთში მოსაზრებები შეაჯერეს. წესდების ახალმა რედაქციამ 82-პროცენტით მხარდაჭერა დაიმსახურა და ის ოფიციალურად მიიღეს.


მეორე საკითხი, რომელზეც შეკრებილებმა იმსჯელეს და გადაწყვეტილება მიიღეს, ფედერაციის გამგეობის წევრთა რაოდენობის გაზრდა გახლდათ.

გასული წლის დეკემბერში, როცა კალათბურთის ფედერაციის საანგარიშო საარჩევნო ყრილობა ჩატარდა და პრეზიდენტად პაატა გურასპაული აირჩიეს, ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელმა კოლეგებს დასამტკიცებლად გამგეობის 11 წევრის კანდიდატურა წარუდგინა და განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში მათი რაოდენობის გაზრდის საკითხი დადგებოდა.

შარშან გამგეობა 11-კაციანი შემადგენლობით დამტკიცდა, ხოლო ამჯერად მას კიდევ 4 წევრი დამატდა. კენჭისყრაზე გამგეობისთვის ახალი კანდიდატურების დამატებას დელეგატთა 85 პროცენტმა დაუჭირა მხარი. ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებით, გამგეობა 15 წევრის შემადგენლობით ორ დღეში თავმჯდომარეს აირჩევს და სამუშაო პრიორიტეტებს დასახავს. ახალ წესდებაში განსაზღვრულია, რომ ფედერაციის გამგეობა თვეში მინიმუმ ერთხელ უნდა შეიკრიბოს.

ვიტალი ჯაფარიძე

ჰოკეი



მოგებას შეგპლავია

მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრებმა მეორე გამარჯვება იზეიმა. ამჯერად „ჯვაროსნებმა“ ჯგუფში ფავორიტად მიჩნეული ბულგარეთი ნ:3 დაამარცხეს და ორი მოგებით პირველ ადგილზე არიან:

ჩვენი გუნდის დარჩენილი მატჩების განრიგი ასეთია:
 საქართველო – ჰონგ-კონგი. 19 აპრილი. 18:15 საათი.
 საქართველო – სამხრეთ აფრიკა. 20 აპრილი. 22:00.
 საქართველო – ტაიპეი. 22 აპრილი. 15:00.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში საქართველომ თურქეთს 6:2 მოუგო.

გაჟან დოლიძე

რაგბი

სასჯელაუბი ჩამოურიბეს

რაგბი ევროპის მსსაჯო კომიტეტმა ესპანეთის ნაკრების ხუთ წევრს მკაცრი სასჯელი გამოუტანა.

კომიტეტმა განიხილა 18 მარტს ბელგისა და პირენეელთა მატჩის დასრულების შემდეგ მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც მოთამაშეებმა რუმინელ მსაჯე ვლად იორდანესკუზე გაიჩიეს და: გიომ რუე მსაჯის ფიზიკური და სიტყვიერი შურაცხყოფისთვის 36 კვირით დასაჯეს;

ანალოგიური დანაშაულისთვის სებასტიენ რუეს 43-კვირიანი დისკვალიფიკაცია გამოუწვევს;

პიერ ბარტერს, ლუკა გიომსა და მათივე ბელის მუქარის გამო 14-14 კვირით

მოუწვეთ უქმობა. სანქცია ვრცელდება როგორც სანაკრებო, ასევე საკლუბო დონეზე. შერისხულებს გადანყვეტილების გასაჩივრება უახლოესი 7 დღის განმავლობაში შეუძლიათ.

გარდა ამისა, რაგბი ევროპა განიხილავს ესპანეთის რაგბის კავშირის საკითხს.

პარალელურად, მსოფლიო რაგბმა ბელგია-ესპანეთის ბრძოლის შედეგი საექვოდ მიიჩნია, რაც მსაჯის არაობიექტური გადანყვეტილებებით იყო განპირობებული და შეხვედრის გადათამაშების რკომენდაცია გასცა.

კოზა კოზანიძე

ჩოგბურთი

ბერმანული ბარიერი დაძლია



ტუნისში მიმდინარე ჩელენჯერის ტურნირზე ნიკოლოზ ბასილაშვილმა პირველ წრეში გერმანელი ტობიაშს კამკე 6:4, 6:3 დაამარცხა. შეხვედრა საათნახევარს გაგრძელდა და ნიკამ ორივე სეტი იოლად მოიგო.

მომდევნო ეტაპზე ჩვენებური რეიტინგის 423-ე ნომერს, ავსტრალიელ ალექსეი პოპირინს შეხვდება.

ბანურარ ბიორაძე



ინტერნეტიდან

ჭეშმარიტი ქომაგი

ბალგინილი მოდელი აქსელ დესპიეგულერი ფეხბურთის ჭეშმარიტი ქომაგი გახლავთ და თუკი ვინმეს შეუძლია თქვას, საკუთარი ქვეყნის ნაკრებს პიარ-გაფორების გამო კი არა, ჭეშმარიტად გულწრფელად და ჯიგრიტ გულშემატივრობო, ეს სწორედ აქსელი გახლავთ.

იგი მშობლიურ ნაკრებს გასვლით მატჩებზეც მუდმივად დაჰყვება და ყველა ფეხბურთელს იცნობს. საყვარელი გუნდის ხმის ჩახლექვამდე „ბალელ შიკობას“ აქსელი რუსეთში, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზეც აპირებს და, ცხადია, თანამემამულეთა წარმატების დიდი იმედიც აქვს.

აქვე აუცილებლად ისიც უნდა თქვათ, რომ დესპიეგულერის ქალის ფეხბურ-

თისადმი ტრფიალება მხოლოდ ბელგიის ნაკრებით არ შემოიფარგლება. იგი ასევე საფეხბურთო კლუბ „ბრიუგეს“ თავგადაკლული ფანიცაა და მასაც ნაკრებისამებ ერთგულობს. ასეთ ნაღდ ქომაგზე მართლაც ბევრმა ქვეყანამ უნდა იოცნებოს!

როსტომ რაჭველიშვილი



ფეხბურთი

საპარკაულო - ერთი თვეში

ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული „პარი სენ-ჟერმენის“ შემტევმა ნეიმაიმ, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ აღდგენით პროცესს გადის, სან პაულუში გამართულ საჯარო ღონისძიებაზე მოედანზე მისი დაბრუნების სავარაუდო დრო დაასახელა.

„ყველაფერი დამოკიდებულია სარეაბილიტაციო კურსსა და გამოკვლევებზე, რომელიც მუდმივად მიტარდება. ზუსტი თარიღის დასახელება ძნელია, უფრო სარწმუნო კი 17 მაისია, როცა ბოლო ტესტი უნდა გავიარო და, შესაძლოა, მაშინ მოედანზე გამოსვლა შევძლო. მუდმივი კონტაქტი მაქვს როგორც ნაკრების მწვრთნელთან, ასევე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან და ერთ თვეში ყველაფერი გადანყვდება“ – განაცხადა სამხრეთამერიკელმა.



ფეხბურთელი 25 თებერვალს „მარსელთან“ მატჩში დაშავდა და ოპერაციის გადატანა მოუხდა, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი თამაში სათუო გახდა, თუმცა, ნეიმაირი იმედოვნებს, რომ მუნდიალს მზადყოფნაში შეხვდება.

გიორგი შოთაძე

ილია ჭავჭავაძის მუზეუმი ერთ-ერთი საუბოთოსო ადგილი იქნება თბილისში

თბილისში, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა. ჩატარებულ სამუშაოებს თბილისის მერი კახა კალაძე ადგილზე გაეცნო.

სამუშაოები თბილისის განვითარების ფონდმა 2017 წლის გაზაფხულზე დაიწყო და პროექტ „ახალი ტფილისის“ ერთ-ერთი მიმართულების – „მუზეუმების რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში განახორციელა.

„ეს ძალიან მასშტაბური პროექტია. სარეაბილიტაციო სამუშაოები დაახლოებით 1000 კვადრატულ მეტრზე მიმდინარეობს. არის კონკრეტული ოთახები, ადგილები, სადაც ავთენტურობა შენარჩუნებული იქნება. ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იქნება დედაქალაქში, როგორც ტურისტებისთვის, ასევე, ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის. სამუშაოები ორ ეტაპად შეიძლება დაფიქსირდეს. პირველი ეს იყო ფასადის სამუშაოები, რომელიც დასრულებულია და ამჟამად, შიდა სამუშაოები მიმდინარეობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა სივრცე შუამდობისთვის ადაპტირებული იქნება. ილია ჭავჭავაძის დაბადების დღისთვის – 8 ნოემბრისთვის, მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველ ეტაპზე სარდაფები მიწის დანალექი მასებისგან დასუფთავდა, სარდაფების ღიობებში გამაგრების სამუშაოები ჩატარდა, შენობის დასავლეთ ფლიგელში რკინა-ბეტონის სვეტებისა და სართულშუა გადასურვის მონოლითური ფილები მოეწყო. ასევე, მოწესრიგდა მუზეუმის ეზოში არსებული წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელი, შეიცვალა სახურავები და სანვითარ მიწები, ავთენტური სახით აღდგა შიდა ეზოს ფასადებზე ხის აივნები, მოეწყო



შუშანდები და შეიცვალა ხის კარ-ფანჯარა. გარდა ამისა, გარე ფასადსა და შენობის პარაპეტებზე შეიცვალა დაზიანებული ნაძირნი დეტალები და სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

ისტორიული შენობის რეაბილიტაციის პირველი ეტაპისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 912 829 ლარი გამოიყო, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოებისთვის 2 120 000 ლარი დიხარჯება. შენობის სამივე სართული ადაპტირებული იქნება მუზეუმისთვის. საქმის დასრულების შემდეგ პირებისთვის.

გარდა მემორიალური სივრცეებისა, მუზეუმში იგეგმება 15 თემატური დარბაზის მოწყობა, სადაც განთავსებული იქნება მემორიალური ნივთები, საგამოფენო ობიექტები, ნაბეჭდი მასალა და ინსტალაციები.

ლურჯის, მწვანის...

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ლურჯი ფერი დადებითად მოქმედებს ჰორმონალურ სისტემაზე.

აღმოჩნდა, რომ მოხალისეებს, რომლებიც დღეში რამდენიმე საათს ლურჯ შუქზე ატარებდნენ, უკეთესადაც ეძინათ და თავსაც უფრო მხნედ გრძობდნენ.

გამოკვლევების შედეგი დადასტურდა მათი თავის ტვინის აქტივობის გაზომვითაც. სხვათა შორის, ასეთივე კომფორტულადაა მიჩნეული მწვანე აბაჯურებიანი გამნათებელი ხელსაწყოები.



ღრუბლების „იმნაირი“ ურთიერთობები

ბოლო თვეების ქვიშაობა სენსაციადია ქვეყნის 26 წლის ყაზახი მკვლევარის აზამატ ბაიტასოვის თეორია, რომელიც ღრუბლების... შეჯვარებას ეხება.



ქვეყნის მკვლევარის რეგონალურმა აკადემიამ მას პროფესორის ნოდარ კიმიანიჭა, თუმცა კი ოფიციალურად ამის გაკეთების უფლება მხოლოდ ყაზახეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს.

გეოგრაფიის მასწავლებლის აზრით, წვიმები მამრი და მდედრი ღრუბლების „იმნაირი“ ურთიერთობის შედეგია, თავად პროცესის კატალიზატორი კი ქარია. თავისი თეორია მან მონოგრაფიაში „გეოგრაფია წმინდა ყურანში“ ჩამოაყალიბა.

საგულისხმოა ისიც, რომ განათლების გასაგრძელებლად და საკუთარი თეორიის დასაცავად იგი საცხოვრებლად და სამუშაოდ მოსკოვში გადაბარგებას წელულს გეგმავს.

ვიღრე ისაღილაღრე...

სადილობამდე მირთმეული დესერტი მადისა და „ძირითადი“ საჭმლის ოდენობას ამცირებს.

საქმე ისაა, რომ მადის სისტემაში შაქრის დაბალ დონეზე მატულობს. ამიტომაც, რომ უზომო მირთმეული ტკბილეული ზედმეტი საკვების მიღების რისკს ადაბლებს.

ამ დროს მთავარია დესერტსა და სადილის კერძებს შორის 15-20-წუთიანი ინტერვალის დაცვა – ეს დრო საჭიროა დანაყრების ნიშნის თავის ტვინამდე მისასვლელად.



განსაცინებელი ა(მ)ბები

კუქუთა ბავშვებს შორის
– უკვე აიღვი ფეხი?
– სხვა რა გზა მაქვს, თუ მალაზიებში საბავშვო ეტლებს ვერ იშვოვი.

მანაფა და მერა
– დედა, ეგ ბიჭი არ მომწონს, თვალეები სულ დახუჭული აქვს.
– ნუ გეშინია, შვილო, ქორნილის მერე გაახელს.

ჯანსაღი ძილი
– კარბად გძინავთ ღამე?
– დიას, დირექტორო.
– რაზე მუშაობ?
– ღამის დარაჯი ვარ.

იარაღი
– წარმოიდგინე, გუშინ სანადიროდ რომ წავედი, თოფის წაღება დამავიწყდა.
– ვერ მოგვსვლია კარგი საქმე. როდისღა გაგახსენდა, რომ

თოფი დაგვიწყნოდა?
– სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ, როცა ცოლს ნანადირევი კურდღელი გადავციე შესაწავადა.


ღირაქორი და ქალბატონები
– ღირაქორი ადგილზეა?
– დირექტორი ყოველთვის ადგილზეა ღამაში ქალბატონებისთვის.
– ჰოო, მაშ, მიდით, უთხარით, ცოლი გენვიათ-თქო.

მეგობარი სამართლის კარამდე
– დღეს თავს ჩავიხრჩობ არაყში.
– ერთად წავიდეთ, შენ გვერდით მიწა სიკვდილი.

ქალკარა
– მიწაში, ნუთუ არ გეცოდებოდა?
ყოველი შენი გამოხდომა თითო ღერ თმას მიჭაღარავებს

თავზე.
მეფე სკეპტიკურად უყურებს დედას.
– როგორც ჩანს, შენ ჩემზე მეტად არ უნევედი ანგარიშს დედ-შენს. შეხედე ბებიას, სულ გაჭაღარავებულია.

ღრმა ძილი
– პირდაპირ საკვირველია, როგორ ახერხებ სამუშაოზე მთელი დღე ძილს.
– მართალი ხარ! ეს ჩვენი მბეჭდავი მემანქანე ისე აკაკუნებს, ეგრევე ძილი მერევა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიასვილი
599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანადგომი“-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„ქოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა სახურა დღეობა!
რედაქციის მიერ
შუქავითავი მასალა
დაიბეჭდება ავტორ-
თა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შესაძლოა, მუდამ
არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აგებენ
ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია,
აუხილავლად
გამოიწარა,
იყიდა,
წაიკითხე!

	რედაქციის მისამართი: აშშ ფოსტა - 2.4292; პირი - 3.0049; ბრიტანული მიმართვა სტრუქტურა - 3.4786; 100 რუბლი - 3.9491; თურქული ლირა - 0.5906; აზერბაიჯანული მანათი - 1.4284; 1000 სომხური დრამი - 5.0325.	აპრილი 19 აპრილისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარა - ღამე +3, ღამე +24 შიშანი რაიონები - ღამე +1, ღამე +22 დასავლეთი საქართველო: ბარა - ღამე +7, ღამე +22 შიშანი რაიონები - ღამე +1, ღამე +22 თბილისი: ღამე +7, ღამე +23	დავით აღმაშენებლის გამზ. 100 ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
--	---	--	---